საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„გეორგიკა“

„გეორგიკა“ („Georgica“), თბილისისა და იენის (გერმანია) უნივერსიტეტების ერთობლივი ყოველწლიური გამოცემა. 1978–89 წლებში გამოდიოდა იენაში (დაიბეჭდა 12 ნაკვეთი), მე-13–14 გაერთიანებული ნაკვეთი დაიბეჭდა კონსტანცში (გერმანია). ამ ნომრიდან „გ.“ გამოდის როგორც ოთხი უნ-ტის (თბილისი, იენა, ზაარბრიუკენი, კონსტანცია) ერთობლივი ორგანო. რედაქტორები – ჰ. ფენრიხი (იენა), შ. ძიძიგური (თბილისი), მე-9 ნაკვეთიდან – მ. ლორთქიფანიძე (თბილისი). „გ.“ ფართო პროფილის ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური გამოცემაა, სადაც ქვეყნდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორების გამოკვლევები ენათმეცნ., ლიტერატურათმცოდნეობის, ფილოს., ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. საკითხებზე. აქვს კრიტ. ბიბლიოგრაფიული განყ-ბაც.

გ. თოფურია